Deutsche Universität für Verwaltungswissenschaften Speyer

ACCREDITED PROGRAMME FIBAA

სამაგისტრო პროგრამა “საჯარო მმართველობა”

პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ქალაქ შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე

საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პირველი სამაგისტრო პროგრამა საქართველოში გთავაზობთ ინტერდისციპლინულ გარემოში საჯარო მმართველობის სამაგისტრო ხარისხის მოპოვებას.სასწავლო სფეროებია:

- საჯარო სამართალი, ეკონომიკა, ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებები
- დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება, მენეჯმენტი და კომუნიკაცია
- საჯარო პოლიტიკის განხორციელებაადმინისტრაციული ორგანოების მიერ და მათი კონტროლი
- ევროპული ინტეგრაციის სტრუქტურა და პროცედურები
- ცვალებად, გაურკვეველ, კომპლექსურსა და მერყევ გარემოში ორიენტაცია
- სამეცნიერო სტანდარტები და აკადემიური წერა

პროგრამა შეიქმნა2009 წელს გერმანელი და ქართველი მეცნიერების ახლო თანამშრომლობის საფუძველზედა ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით.სასწავლო მოდულები მორგებულია საქართველოს საჯარო სექტორის წამყვანი პოზიციებისათვისსაჭირო კვალიფიკაციებთან.

პროგრამის მისიაა სტუდენტებისმომზადება სახელმწიფო სექტორში ხელმღვანელი თანამდებობების დასაკავებლად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიწოდების საფუძველზე, რომელიც აგრეთვე, ეფექტურად იქნება გამოყენებული კერძო სექტორში ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისათვის.

პროგრამის არსებითი მიზანია ღია საზოგადოებაში ერთის მხრივ, მოქალაქეებზე მორგებული და, ამავდროულად, სამართლის უზენაისობაზე დამყარებული საჯარო მმართველობის გატარება.

აღნიშნულის გათვალისწინებით,პროგრამა შესაძლებლობას მისცემს მონაწილეებსმოახდინონ სხვადსხვა პრობლემებისა და გადასაჭრელი საკითხების ზუსტი იდენტიფიცირება. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სხვადასხვა ინტერდისციპლინული მიმართულებისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებითმიიღონ  და გაუმკლავდნენ დაკისრებულ და წამოჭრილ გამოწვევებს.

**მიღების პროცედურები**

- ყოველწლიური განაცხადის ვადები რეგულირდება თსუ-ს რეგლამენტის საფუძველზე, სავარაუდო თარიღია აგვისტოს მე-2 ნახევარი
- სრული პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს 5 სემესტრის განმავლობაში

- სწავლის საფასური იხდება ადგილობრივ ვალუტაში და შეადგენს 5890 ლარს (ექვემდებარება ცვლილებას თსუ-ს რეგლამენტის შესაბამისად)

  მოთხოვნები:
- აკრედიტებული სასწავლებლის ბაკალავრის დიპლომი სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ ან ჰუმანიტარულ სფეროებში
- ინგლისური ენის ცოდნა CELF- B2 ან უფრო მაღალ დონეზე
- შესარჩევი პროცედურების წარმატებით გავლა, რომელიც მოიცავს ვერბალურ ინტერვიუს ინგლისურ ენაზე

იხ. დამატებითი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ https://www.tsu.ge/en/

იხ. დამატებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ http://ias.tsu.ge/